გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8 2011 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

პირველი შთაბეჭდილება

საგარეჯოს III საჯარო სკოლის პირველკლასელი დათიკო ლაფერიშვილი პირველ შთაბეჭდილებას უზიარებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს

მომავალ ნომერში წაიკითხავთ:

15 სექტემბერს მუშაობა განაახლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებებმა.

„რთველი – 2011“

მერვე გვერდი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საჩუქარი მანაველებს

მეორე გვერდი

პროფესიული დღესასწაული

მეოთხე-მერვე გვერდები

ვის დაეხმარება დნმ-ის ანალიზი?

მეხუთე გვერდი

პენსიები გაიზარდა

მეხუთე გვერდი

სპორტი

„პრეზიდენტის თასის“ გამარჯვებულნი

მეექვსე გვერდი

იცით

რა ასაკისაა ქართული ვაზი და ქართული ღვინო?

მერვე გვერდი

ინფრასტრუქტურა

მეექვსე გვერდი

გარეჯის მაცნე
№8 2011 წელი, 16-30 სექტემბერი

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მანავში

პრეს-რელიზი

17 სექტემბერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის ამბულატორიაში იმყოფებოდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ანდრია ურუშაძე** და ევროკავშირის ელჩი საქართველოში, **ფილიპ დიმიტროვი**, მათ პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში სოფლის ექიმებს გადასცეს ახალი ლეპტოპები და პრინტერები. პროექტის მიზანია ჯანდაცვის განვითარება და საქართველოს რეგიონებში საბაზისო სამედიცინო მომსახურების დანერგვის ხელშეწყობა, ევროკავშირის ეგიდით და ამ პროგრამის ფარგლებში გარემონტდა სოფლის ამბულატორიები და გადამზადდნენ ექიმები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

შეხვედრა მუნიციპალიტეტის მეწარმეებთან

15 სექტემბერს საგარეჯოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში საგარეჯოს რაიონის მეწარმეებს საგადასახადო სისტემაში არსებულ სიახლეებზე ესაუბრნენ *შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური კურატორი* ბ-ნი **ზაზა შეყილაძე** და *შემოსავლების სამსახურის დეპარტამენტის თელავის სერვის ცენტრის უფროსი* ბ-ნი **შალვა იობაშვილი**. როგორც მათ დარბაზში მოწვეულ მეწარმეებს აუხსნეს, საგადასახადო ურთიერთობების გასამარტივებლად შეიცვალა დღემდე არსებული საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც გააადვილებს ურთიერთობას მეწარმესა და სახელმწიფოს შორის. ამიტომ მეწარმეებს ყველა საკითხის გასარკვევად, რომელიც მეწარმეს საქმიანობისათვის დასჭირდება, მზად არის შემოსავლების მომსახურების დეპარტამენტის თელავის სერვის ცენტრის თითოეული თანამშრომელი – მოუსმინოს და გაარკვიოს მეწარმე მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ. აქვე მათ უპასუხეს მეწარმეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, დეტალურად აუხსნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებები.

შეხვედრას ესწრებოდნენ *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი* ბ-ნი **გია ჩალათაშვილი**, *საკრებულოს თავმჯდომარე* ბ-ნი **ილია ჭიაურელი**, *პარლამენტის წევრი* ბ-ნი **ზაზა გულიკაშვილი**.

15 სექტემბერს სწავლა დაიწყო

15 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 25 საჯარო და სამი კერძო (ბოგდანოვკის საჯარო სკოლაში სწავლა შენობის მიმდინარე რემონტის გამო 26 სექტემბერს დაიწყო) სკოლის ზარმა სწავლის დაწყება აუწყა თავის მოსწავლეებს. ამ დღეს 8 ათასამდე მოსწავლე მიუჯდა სასწავლო მერხებს, მათგან 664 პირველკლასელი, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჩუქარი ნეტბუქი პირადად გადაეცათ:

საბარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში ამ დღეს 70-მა პირველკლასელმა მიიღო ნეტბუქი;

საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლაში – 24 პირველკლასელმა.

საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლაში - 20 პირველკლასელმა;

საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლაში – 48 პირველკლასელმა

პატარძეულის საჯარო სკოლაში – 28 პირველკლასელმა (სწორედ ამ დღის ფოტორეპორტაჟს გთავაზობთ დღეს, ძვირფასო მკითხველო).

ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს აღნიშნული საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პირველკლასელებს პრეზიდენტის საჩუქარი – ნეტბუქები გადასცეს *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა* ბ-ნ **გია ჩალათაშვილმა**, ამავე *მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ* ბატონმა **ილია ჭიაურელმა,** *პარლამენტის წევრმა* ბატონმა **ზაზა გულიკაშვილმა,** *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის დირექტორმა* ბატონმა **გია დუჩიძემ**, *მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა* **ამირან სონიშვილმა** და *ამავე გამგეობის სოციალური სფეროს სამსახურის უფროსმა* **ძაგული მათიაშვილმა**.

მათ ამავე სკოლებში დაათვალიერეს საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი, კაბინეტ-ლაბორატორიები, გაესაუბრნენ პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს.

პრეზიდენტის საჩუქარი

საგარეჯოს III საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში

საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის საკლასო ოთახში

საგარეჯოს III საჯარო სკოლის პირველკლასელებთან

საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის პირველკლასელებთან ნეტბუქების გადაცემისას

საგარეჯოს IV საჯარო სკოლის საკლასო ოთახში

საგარეჯოს II საჯარო სკოლაში

2 ოქტომბერს მასწავლებლის დღეა, გილოცავთ!

დიდ წინაპართა ღირსეული შთამომავალი

მარინა გულისაშვილი – ათეულობით წელია ეს სახელი ხშირად მოიხსენიება იმ მოწინავე გარეჯელ პედაგოგთა შორის, თავიანთი საქმით რომ ამართლებენ მასწავლებლის – ქვეყნის მომავალი განათლებული თაობების აღმზრდელთა და ცხოვრების გზამკვლევთა საპატიო წოდებას. პირველად 22 წლისამ შეადო სკოლის კარი, როგორც მასწავლებელმა და მას შემდეგ ღირსეულად იხდის თავის მამულიშვილურ ვალს ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე. ამ სამსახურში თავზე ჩამოათოვა კიდეც, იყო სიხარულისა და წარმატებების , გაჭირვების, სიცივის, უშუქობის, იმედგაცრუების წლები, მაგრამ მას ფიქრადაც არ გაუვლია ერთხელ სამუდამოდ ამორჩეული გზის შეცვლა. ვინ მოსთვლის ამ ხნის მანძილზე რამდენი მოზარდის გულში დაანთო მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და გმირული წარსულისადმი სიყვარულის ჩაუქრობელი ლამპარი, თვალსაწიერზე გადაუშალა მსოფლიო ისტორიის გაუხუნარი ფურცლები. ალბათ, არც იმათ ჩამოთვლა იქნებოდა ადვილი, ვინც ქ-ნ მარინას დარიგებით ცხოვრების სწორ გზა-სავალს დაადგა და დღეს მასავით ერთგულად ემსახურება ჩვენს ქვეყანას, მშობლიურ ერს. სხვანაირად მისგან დიდი გულისაშვილების შთამომავლისაგან, ალბათ წარმოუდგენელიც იქნებოდა. ეტყობა ღმერთმა მასზე დაიბერტყა დიდი წინაპრების ყველა სიკეთის კალთა – ნიჭიერება, მოყვასისა და მამულის სიყვარული, ქვეყნის ბედის გულშემატკივრობა და ჭირისუფლობა.

როცა ქ-ნ მარინას შესახებ წერილის დაწერა გადავწყვიტე და პირველ საჯარო სკოლაში მივაკითხე, თავდაპირველად ვაპირებდი ბანალური კითხვების დასმასა და მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ჩვეულებრივი ინტერვიუს მომზადებას, მაგრამ როცა მისი შესაძლებლობები გავიხსენე, ვთხოვე თავის შესახებ თვითონვე ესაუბრა ჩვენი მკითხველისათვის, არც შევმცდარვარ, ამაში თავად მკითხველიც დარწმუნდება.

– მე – მარინა გულისაშვილი,

დავიბადე ზამთრის სუსხიან დღეს გიორგიწმინდაში. ალბათ, ამიტომ არ მიყვარს სიცივე და ჩემი დაბადების დღე. ბავშვობაში მშობლები მანებივრებდნენ. მე და ჩემი და სიყვარულის, სითბოსა და წიგნების გარემოცვაში ვიზრდებოდით. ვინ აღარ მოდიოდა ჩვენს ოჯახში სტუმრად. 60-70-იანი წლების ცნობილ ადამიანებს იზიდავდა გულისაშვილების სტუმართმოყვარეობა, ულამაზესი ეზო და რაც მთავარია, მამაჩემის, პაპაჩემის, პაპაჩემის მამის და სხვა გულისაშვილების ნიჭი და განათლება. მე ვამაყობ ჩემი წინაპრებით, იმ სულიერი საზრდოთი, რომელიც შვილებს დაგვიტოვეს და ამის თქმა არ მრცხვენია!

რა დამავიწყებს ბუბუნა გოგლა ლეონიძეს, რომელმაც დედას იშვიათი წამალი მოუტანა, მე კი შავყდიანი წიგნი მაჩუქა წარწერით. მაშინ 7 წლის პირველი კლასის მოსწავლე ვიყავი, გამიმართლა. მასწავლიდნენ ისეთი დიდი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ნინო ასათიანი, გიორგი ამბარდნიშვილი, მერი გოდერძიშვილი და ბევრი სხვა. მათგან მარტო საგანი კი არა, ადამიანობა ვისწავლე. სკოლაში არ მიგრძვნია, ვინმე უსამართლოდ მომქცეოდა და მეც ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს ასე მოვექცე. რამდენად ვახერხებ, თვითონ განსაჯონ.

მერე იყო „თეთრი გედი“ – თსუ. უბედნიერესი ვიყავი: გიორგი წერეთელი, ნიკო ლეკიაშვილი, ფარნა ერთელიშვილი, მერაბ ტივაძე, აპოლონ სილაგაძე – ყველაფერს გვაძლევდნენ, რაც ახალგაზრდობას სჭირდებოდა. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, უნივერსიტეტთან გავლისას საოცარი მოკრძალება მეუფლება. პირველი დიდი ტკივილი მაშინ ვიგრძენი, როცა ახალგაზრდა მშობლები დავკარგე, მაშინ გამ-

დასასრული მე-8 გვერდზე

აზერბაიჯანელთა ქართველი მასწავლებელი

გ ი ო რ გ ი ვ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი იმ გამონაკლის ქართველ მასწავლებელთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა მიერ ქართული სახელმწიფო ენის დაუფლების, ამით კი საზოგადოებაში ადაპტირებისა და ინტეგრირების საპატიო საქმეს ემსახურება. დაამთავრა თუ არა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, 2010 წლიდან მუშაობა რაიონის უშორეს, სოფელ კაზლარის დაწყებით სკოლაში ისტორიისა და ქართული ენის მასწავლებლად დაიწყო. 2011 წლის დასაწყისიდან კი იორმუღანლოს საჯარო სკოლის პედაგოგია.

გზის სიშორისა და სირთულის მიუხედავად, ახალგაზრდა პედაგოგი ყოველდღე ხალისითა და ენთუზიაზმით მიეშურება იორმუღანლოში, რათა აქაურ პატარებს თავიანთი სამშობლოს – საქართველოს ისტორია გააცნოს და შეასწავლოს.

აზერბაიჯანული ენის გარკვეულწილად ცოდნა, მიღებული გამოცდილება ახალგაზრდა მასწავლებელს ხელს უწყობს იყოს საქართველოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა შორის.

გივი დაბახიშვილი

პედაგოგის გახსენება

გიორგი არამული

გიორგი არაბული 1973 წლის აპრილში გავიცანი, როცა ის ბადიაურის საშუალო სკოლის დირექტორად მოგვევლინა. მაშინ მე იმავე სკოლის – X კლასში ვსწავლობდი. ასე რომ გამოსაშვებ გამოცდებამდე ხეირიანად ვერც გაგვიცნო. ჩვენ კი მასზე ბევრი რამ შევიტყეთ – ვიცოდით, რომ იყო პოეტი, საგარეჯოს სახალხო თეატრის წამყვანი მსახიობი და მთავარ (ახალგაზრდა დევის) როლს ასრულებდა იმ დროს დადგმულ პოპულარულ სპექტაკლში „ნაცარქექია“...

– ახალი დირექტორი ძალიან მკაცრი ადამიანია და დისციპლინის არავითარ დარღვევას არ გაპატიებთო, გაგვაფრთხილეს მასწავლებლებმა.

სულ რამდენიმე დღის მოსული იყო ბატონი გიორგი ჩვენთან, როდესაც სკოლისათვის ჩვეულებრივი ამბავი მოხდა – ერთ-ერთმა ჩვენმა კლასელმა შემთხვევით ფანჯრის მინა გატეხა. მასწავლებლებმა, ტრადიციულად, ერთი ამბავი ატეხეს და წინასწარ "შეშინებული" დამნაშავე დირექტორის კაბინეტში წაიყვანეს.

მთელი კლასი დაძაბული ელოდა მის დაბრუნებას – ვვარაუდობდით ყველაფერს, – ცემას, ჩხუბს, უკანასკნელ გაფრთხილებას, გარიცხვასაც კი, მაგრამ არა იმას, რაც მოხდა – 'დამნაშავე" გაკვეთილზე გაბრწყინებული სახით შემოვიდა. მთელი კლასის თვალები მიაშტერდნენ, რაო?..

– „გაუშვით, მეტს ადარ იზამსო“, უთხრა ჩემზე არანაკლებად გაოცებულ მასწავლებლებს, უკან რომ მომდევდნენ და ყველაფერი ამით დამთავრდაო.

დარწმუნებული ვარ, იმ მოსწავლეს ეს ეპიზოდი ცხოვრებაში არ დაავიწყდებოდა.

... სწრაფად მიილია ის ერთი თვე, გამოცდებამდე რომ იყო დარჩენილი. დირექტორთან ახლოს გაცნობის საშუალება არ გვქონია (ჩვენთვის მას არ უსწავლებია), მხოლოდ დერეფანში ან ეზოში თუ მოვკრავდით თვალს.

იმის გამო, რომ რამდენიმე სკოლა გამოვიცვალე (ყოველ შემთხვევაში მე ამას ვაბრალებ), კლასში საუკეთესო მოსწავლედ არ ვითვლებოდი. იმის მიუხედავად, რომ ბევრს ვკითხულობდი, გაკვეთილებიც მომზადებული მქონდა, იშვიათად თუ მივიღებდი სამიანზე მაღალ ნიშანს. ნიშნისთვის ბრძოლა იმ დროს უღირს საქმედ მიიჩნეოდა, თანაც ვიცოდი, უმაღლეს სასწავლებელში გამოცდის დროს ჩემი ცოდნა არ დაიკარგებოდა.

პირველი გამოცდა ქართულ წერაში იყო, რომელსაც მაშინვე მოსდევდა ზეპირი გამოცდა.

ბატონი გიორგი ფილოლოგი იყო და, ამავე დროს, როგორც აღვნიშნე, კარგი პოეტი, ამიტომ გამოცდაზე უბრალო დამსწრის ფუნქციებით არ შემოიფარგლა, – თვითონ სცდიდა თითოეულ მოსწავლეს.

ისე მოხდა, რომ თითქმის ბოლოს მომიწია გამოცდაზე გასვლა. მანამდე საგამოცდო ოთახში ვისხედით და ყველაფერს ვუსმენდით, რაც ხდებოდა. ჩვენგან მოულოდნელად დირექტორმა ძალიან სერიოზული სიმკაცრე გამოიჩინა და არათუ ხუთიანები არ დაწერა, ოთხიანებიც სახვეწარი გახადა.

მოვიდა ჩემი გასვლის დროც. ბატონ გიორგის ადამიანებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან ურთიერთობა არ უჭირდა და მალე გამოცდა პოეზიასა და ლიტერატურაზე საუბარს დაემსგავსა...

შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა – მეხუთე კლასის შემდეგ პირველად მივიღე ხუთიანი, თანაც გამოსაშვებ გამოცდაზე. ამან ჩემდამი დამოკიდებულება ისე შეცვალა, რომ არც ერთ გამოცდაზე ოთხიანზე დაბალი ნიშანი აღარ დაუწრიათ!..

შეუძლებელია სოხუმში ექსკურსია არ გავიხსენო, სკოლის დამთავრების შემდეგ რომ მოვაწყეთ.

იმ დროს ჩვენ არაფერი ვიცოდით აფხაზური სეპარატიზმისა და იქ არსებული სიტუაციის შესახებ.

ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო და ქალაქში ერთად გავისეირნეთ. არ ვიცი, როგორ მოხდა, უცებ კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოვჩნდით ერთ აფხაზ ახალგაზრდასთან. როგორც ჩანს მიზეზს ეძებდა საჩხუბრად, რადაცაზე წაკამათდა ერთ ჩვენს თანაკლასელთან, მიუახლოვდა მას, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ... ისკუპა ჩვენმა დირექტორმა, ხელი ამოუტრიალა, ასფალტზე დააგდო და ჯიბეები მოუჩხრიკა...

გამიშვით, არაფერი მაქვსო, ქართულად შეეხვეწა აქამდე რუსულად მოლაპარაკე აფხაზი. ნივთები დაუბრუნეს, რომელთა შორის ჩვენთვის გაურკვეველი წვეტიანი რკინა აღმოჩნდა.

მალე ჩვენს გარშემო უამრავი ხალხი შეიკრიბა და რომ არა ისევ გიორგის დიპლომატიურობა,არავინ იცის ვითარება როგორ განვითარდებოდა...

ამის შემდეგ გავიდა დახლოებით ათი წელი და გიორგი არაბულთან ერთად რედაქციაში დავიწყე მუშაობა.

გასაკვირი არ იყო, რომ გიორგიმ ვერ მიცნო და შემდეგ როცა გამოცდის ამბავი გავახსენე, – არ მახსოვსო, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა.

ტრადიციულ;ი, ქართული, მოსიყვარულე ოჯახი ჰქონდა, შვილებით ამაყობდა.

ზემოთაც აღვნიშნე, მრავალ ადგილას ემუშავა, მათ შორის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მესამე საშუალო სკოლის დირექტორად. მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის ამბავს ანეგდოტივით მომიყვა ერთხელ.

სამწუხაროდ, მე გიორგის ნათამაშევი სპექტაკლები არ მინახავს, თუმცა ბევრისგან მსმენია, რომ ის დიდებული მსახიობი იყო.

როცა ქვეყანა აირია, სსრკ დაშლის პირას მივიდა, გიორგიმ მაშინ გადაწყვიტა მანქანის მართვის შესწავლა და აიჩემა – „ლუაზი“ უნდა ვიყიდოო. ამისათვის რამდენჯერმე მოუწია მისვლა რაიკომის მაშინდელ მდივანთან მედეა მეზვრიშვილთან და როგორც იქნა ოცნება აიხდინა – ავტომანქანით სიარული დაიწყო. მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მალე გათამამდა და სიფრთხილე დაივიწყა.

სწორედ ლუაზის საჭესთან მჯდომს მოუვიდა საშინელი ავარია პატარძეულის დაღმართში თეთრწყლებიდან მომავალს. მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ გადარჩა, თუმცა მისი კვალი მაინც დარჩა.

ეგრეთ წოდებული გარდაქმნის დროს სხვადასხვა საქმეს მოჰკიდა ხელი, კურდღლებიც კი მოამრავლა, მაგრამ მისგან ბიზნესმენი არ გამოვიდა.

ყველაზე მეტი დარტყმა გიორგის დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ მიაყენა. თავისუფლება სულაც არ აღმოჩნდა „თავისუფლება“, უშუქობა, უგაზობა, პურის რიგები, უფულობა, უმუშევრობა, ეს ყველაფერი სულაც არ იყო ის, რაზეც ვოცნებობდით.

არაერთხელ მინახავს სათავისკენ ხელის ურიკით ტყეში მიმავალი შეშის მოსაგროვებლად, ქუჩაში მდგარს ერთხელაც არ შემოუხედავს და მომსალმებია, – ეტყობა რცხვენოდა ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა.

იმ დროს არავის გვილხენდა, მათ შორის მეც, ამიტომ იმ დროს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლაც აღარ გვქონდა, ისევ და ისევ გაჭირვების გამო, ამიტომ მისი გარდაცვალებამ და დასაფლავებამაც ერთი რიგითი ადამიანის მსგავსად შეუმჩნეველად ჩაიარა, თუმცა გიორგი არაბული გამორჩეული და კოლორიტული ადამიანი იყო, რომელმაც თავისი კვალი დატოვა XX საუკუნის II ნახევრის საგარეჯოს ცხოვრებაში.

ზურაბ აგულაშვილი

გიორგი არაბული

ი ქ

იქ უნდა იყო მშვიდი,
სადაც ვერ ჩქამობს ენა,
იქ სიმშვიდეა დიდი
და ლურჯი ფოთოლცვენა,
იქ სილაღეა სხვათა,
ცოტაოდენი შენიც.
იქ სამკვიდროა მთათა,
მათ ხომ სილაღე შენით.

სურათზე: მარჯვნიდან გიორგი არაბული მეგობრებთან – ვანო სიდამაშვილთან და თემურ ტაველიშვილთან ერთად.

პენსიები გაიზარდა

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის„ბ" და „გ" ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად 2011 წლის 1 სექტემბრიდან საპენსიო ასაკისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული პასუხისმგებლობების მქონე პირთა სტატუსის საფუძვლით (I ჯგუფი) სახელმწიფო პენსიის მიმღებ ბენეფიციარებისათვის პენსიის ოდენობა განისაზღვრა 100 ლარით. აქედან გამომდინარე, საპენსიო ასაკის პენსიონერები მიიღებენ პენსიას 100 ლარს პლუს სტაჟის დანამატის შესაბამისად შემდეგი ოდენობით: სტაჟის დანამატი 5 წლამდე – 2 ლარი;
5-დან -15 წლამდე -4 ლარი; 15-დან-25 წლამდე – 7 ლარი; 25 წელს ზევით 10 ლარი.

ვის დაეხმარება დნმ-ის ანალიზი?

სამხრეთამერიკული სერიალების მოყვარული ნამდვილად არ ვარ, მაგრამ როგორც ყველგან, ჩემს გარშემოც არიან „საპნის ოპერებზე" შეყვარებული ადამიანები, ამიტომ ძალაუნებურად ვიცი ზოგიერთი მათგანის შინაარსი. შევამჩნიე, რომ ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა თითქმის ყველა სერიალში არის ის, თუ როგორ ცდილობს ფილმის უარყოფითი პერსონაჟი ქალი, კეთილშობილი და მიმნდობი მამაკაცის ლოგინში შეტყუებას, რათა დაფეხმძიმდეს, ან ფეხმძიმობა დაიბრალოს და მის ცოლობას თუ არა, მემკვიდრეობას მაინც გამოჰკრას ხელი.

პატიოსან ადამიანებში ასეთი ქმედება დადებით ემოციებს ნამდვილად არ იწვევს, ამიტომაც ელიან ადამიანები ასეთი გაფაციცებით ყოველ სერიას და კეთილი გმირის გამარჯვებას ნატრობენ.

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტად ასახავს ლათინური ამერიკის ცხოვრებას ეს ფილმები, ან მართლაც ასე ხშირია თუ არა ამგვარი მცდელობები, მაგრამ ეტყობა იქაური კანონმდებლობა ამისათვის მზადაა, რადგანაც იგივე ფილმებიდან ვიგებთ, რომ ასეთ შემთხვევაში გამოსავალი ე.წ. დნმ-ის ანალიზია, რომელიც უტყუარად ადგენს – არის თუ არა ესა თუ ის პიროვნება ბავშვის მამა.

ჰოდა, რადგანაც ჩვენც შევაბიჯეთ „ცივილიზაციაში", დაუქორწინებელი მშობლების შვილისთვის მამობის დადგენისას, ბიოლოგიური და ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევების ჩატარება ჩვენს ქვეყანაშიც სავალდებულო გახდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები „სამოქალაქო კოდექსში" იგეგმება.

კანონპროექტით და მოქმედი ნორმითაც, მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში, მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი. ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ კი ბავშვის მამობის დადგენის თაობაზე განცხადების წარდგენის უფლებამოსილება, მხოლოდ მას ექნება.

ასევე, კანონის მოქმედი რედაქციით, მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

კანონპროექტით კი დგინდება, რომ მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევების შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს შეეხება.

ხოლო, თუ ე.წ. დნმ-ის ანალიზით მამობის დადგენა ვერ ხერხდება, სასამართლო მხედველობაში მიიღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის თაობაზე განმცხადებელი პირის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან\და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის და რჩენის ფაქტებს და ა.შ.

კანონპროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია "ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელია", ინიციატორი კი – დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილი.

კანონპროექტი პარლამენტში უკვე შევიდა.

„ქორთიარდ მარიოტში" ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლების კონფერენციაც გაიმართა, სადაც ამ საკითხებზე იმსჯელეს.

კანონპროექტის ინიციატორები განმარტავენ, რომ ახალი კანონი ბავშვთა უფლებების დაცვასა და მშობლების პასუხისმგებლობის თანაბარ გადანაწილებას შეუწყობს ხელს. ანალიზის ჩატარება 2 000 ლარამდე ჯდება,რომელსაც სასამართლო დავის შედეგად წაგებული მხარე დაფარავს.

პროექტის მიზნებად სახელდება სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა ქალთა უფლებებისა და დემოკრატიული უფლებების განვითარებაში, ასევე კანონის უზენაესობის ხელშეწყობა, იმ კრიმინალური შემთხვევების შესწავლა, როდესაც ქალებმა დახოცეს პარტნიორული ურთიერთობის შედეგად დაბადებული საკუთარი შვილები, საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შემუშავება, რომელიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მშობლებს დააკისრებს თანაბარ ვალდებულებას ახალშობილის წინაშე.

მოგეხსენებათ, ჩვენში საკმაოდ არიან ე.წ. 'მარტოხელა დედები", რომლებიც მამის გარეშე ზრდიან ბავშვებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2000-2009 წლებში, საშუალოდ, ყოველწლიურად 2100-დან 3900-მდე ჩვილი გაჰყავდათ სამშობიაროდან მხოლოდ დედის განცხადების საფუძველზე, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ასეთ დედას უამრავ ყოფით თუ ფსიქოლოგიურ პრობლემასთან უწევს გამკლავება. ბუნებრივად ისმება მამის პასუხისმგებლობის საკითხი. მართალია დღესაც არსებობს ე.წ. ალიმენტის ფორმა, რაც გარკვეული თანხის შვილისათვის გადახდას ავალდებულებს მშობელს, მაგრამ თუ 'მამობაში ბრალდებული" უარყოფდა, დედა კი ვერ დაამტკიცებდა რომ მართლაც ის „ის" არის, სასამართლოს არ ჰქონდა ბერკეტი სიმართლის დასადგენად. ამიერიდან კი ჩვენი ცხოვრება სამხრეთამერიკული სერიალისას დაემსგავსება.

უნებურად გამახსენდა მოსაზრება ამ კანონპროექტის გაცნობის შემდეგ რომ გამიზიარა ერთმა მამაკაცმა – დღევანდელ მარტოხელა დედებს ეს კანონი მართლაც დაეხმარება, მაგრამ როგორც ყველაფერს, ამასაც აქვს მეორე მხარე – ამის მერე მამაკაცები ნამეტანი ხომ არ გაფრთხილდებიან და შობადობაც მოიკლებსო.

ეს ისე, ხუმრობით.

„ინტერპრესნიუსის" მასალებზე
დაყრდნობით მოამზადა
ზურაბ აგულაშვილმა

„პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა". (მეხუთე მცნება)



საკითხი, რომელსაც ამ წერილში მინდა შევეხო, „არ ახალია, ძველია", თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია და ალბათ არც არასოდეს დაკარგავს აქტუალობას.

საუბარია შვილების დამოკიდებულებაზე მშბლების მიმართ.

იმისათვის რომ აგიხსნათ, რატომ გადავწყვიტე მე, უბრალო მოკვდავმა ამ კაცობრიობის დასაბამისეულ პრობლემაზე საუბარი XXI საუკუნის დასაწყისში, თანაც პროვინციული გაზეთის ფურცლებზე, ალბათ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო...

ამ ცოტა ხნის უკან საგარეჯოს რაისაავადმყოფოს საკმაოდ ხშირი სტუმარი გახლდით – ერთი კვირის განმავლობაში დღეში რამდენჯერმე მივდიოდი ავადმყოფის სანახავად.

... საავადმყოფოს მეორე სართულზე რეამინაციულ განყოფილებასთან გავლისას ძალაუნებურად ვხედავდი იქ მწოლიარე მოხუც ქალბატონს, რომელიც, როგორც ჩანს, უგონოდ იყო. მაგრამ არც ესაა მთავარი (რეანიმაციაში ალბათ მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს ათავსებენ), ყურადსაღები ისაა, რომ თვალი არ მომიკრავს მისი ჭირისუფლისათვის.

ერთხელაც საავადმყოფოს დერეფანში ყველა საგარეჯოელთათვის კარგად ცნობილი ექიმი დათო ლალიაშვილი შემხვდა და თავისი გულისტკივილი გამიზიარა, რითაც ჩემი ცნობისმოყვარეობა კი დააკმაყოფილა, მაგრამ ამავე დროს ამა სოფლის წუთიერებასა და სიმუხთლეზე დამაფიქრა.

– მთელი თვეა ავადმყოფი ჩვენთანაა, მაგრამ მისთვის არავის მოუკითხავს, ჩვენ, სამედიცინო პერსონალი, ვუვლით, ვკვებავთ... ხოლო როცა მის შვილს დავურეკე, მითხრა, უპატრონოთა თავშესაფარში ჩააბარეო.

გული დამწყდა, მაგრამ გითხრათ სიმართლე, მაინცდამაინც არ გამკვირვებია – განა ცოტა ამგვარი ფაქტის შესახებ ვიგებთ ტელეეთერიდან ყოველდღიურად, წამყვანები ისეთი ტონით რომ გადმოგვცემენ, თითქოს მილიონი დოლარის მოგება ეხარებინოთ?!

ბუნებრივია დამაინტერესა, ვინ იყო ის შვილი, ან რა ისეთი პრობლემა ჰქონდა, ან რა ეწყინა დედისგან ისეთი, რეანიმაციაში მწოლარე, სიკვდილთან მებრძოლი მშობელი უპატრონოთა თავშესაფრისთვის გაიმეტა და თანაც ერთხელაც არ მოისურვა მისი ნახვა.

არც ისაა მოულოდნელი, ასეთი ინტერესი სხვა ადამიანებსაც რომ გასჩენოდათ და რაღაც-რაღაცეები გაერკვიათ კიდეც. ვერ გეტყვით, რამდენად ჭეშმარიტებასთანაა მათი ნათქვამი, მაგრამ რადგან ამ თემაზე დავიწყე წერა, მასაც გაგაცნობთ.

ეს ქალბატონი წარმოშობით ჩვენი რაიონის მკვიდრი არ ყოფილა, აქ შვილი ჰყოლია გამოთხოვილი. რადგან შორს ცხოვრობდა და ყურადღებას ვერ აქცევდნენ, იქ სახლი გაუყიდინებიათ და აქ წამოუყვანიათ. სიძეს თურმე გულზე არ ეხატებოდა სიდედრი და ცოლსაც ისეთ დღეში აგდებდა, მასზე ხელი აღებინაო...

სახარებისეული ათი მცნებიდან, რომელიც ქრისტიანისთვის ცხოვრების სახელმძღვანელო უნდა იყოს, მეხუთე მცნებაში ნათქვამია: „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა".

არ მინდა სხვისი განსჯა გამომივიდეს, მაგრამ სრულიად უცხო ადამიანს არ მიატოვებს ბევრი, უპატრონებს და მოუვლის მას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიბერე და უძლურება არც იმას დაინდობს, ვისგანაც დღეს ელიან დახმარებას.

უნებურად ცნობილი იაპონელი რეჟისორის იმამურას გენიალური ფილმი „ლეგენდა ნარაიამაზე" გამახსენდა, რომელშიც ერთ ღარიბ სოფელში დამკვიდრებული ტრადიციაა გადმოცემული – როცა ოჯახს აღარ შეეძლო მისი ყველა წევრის გამოკვება, ყველაზე მოხუცსა და უძლურს მთაში წაიყვანდნენ და ისეთ უფსკრულში ტოვებდნენ, საიდანაც ამოსვლას ვერ შეძლებდა, ანუ შიმშილითა და სიცივით სიკვდილისათვის წირავდნენ.

საქართველოში მსგავსი რამ ვერ წარმოგვედგინა, მაგრამ თურმე ვცდებოდით.

P.S. ამ დღეებში ისევ მომიწია საავადმყოფოში მისვლა და იმ მიტოვებული მოხუცის ბედით დავინტერესდი – გარდაიცვალაო, მითხრეს, სოფლის რწმუნებულმა წაასვენა და მანვე მიადევნაო უკანასკნელი პატივი.

არ მიცდია დამედგინა, დაესწრო თუ არა დედის გასვენებას მისი შვილი,

ზურაბ აგულაშვილი

მომავალ ნომერში წაიკითხავთ:

1. დიდ ჩაილურში ხანდაზმული ცოლ-ქმარი.
2. ხანდაზმული ადამიანები ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე...

გიორგიწმინდა

ყველას კარგად ახსოვს გაზაფხულის წყალდიდობების შედეგად დაზიანებული სოფელ გიორგიწმინდის „ნავრობის ხევი“ აქ მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხით გაკეთდა მთელი რიგი სამუშაოები: ჩატარდა მიწის, ბეტონის სამუშაოები, გაკეთდა სამანქანე გზიდან მოსახლეობის ეზოებამდე გადასასვლელი ე. წ.. „ბოგირები“. ხევი სულ 114 მეტრ სიგრძეზე იყო სერიოზულად დაზიანებული. ახლა მოხერხდა მისი მართლაც კალაპოტში მოქცევა. ხევის სამშენებლო სამუშაოებზე 5 გიორგიწმინდელია დასაქმებული.

სამუშაოებს აწარმოებს ი/მ „ამირან როსტომაშვილი“



ნავრობის ხევი



მათიანთ ხევის გაბიონის მოწყობაზე

თოხლიაური

გაბიონები მოეწყო სოფელ თოხლიაურის ე.წ. „მათიანთ ხევზე“. მოსწორდა ხევის საფუძველი, მოეწყო მავთულბადე და ჩაიყარა ქვა. გამაგრებული ჯებირი აქაურ მოსახლეობას თავიდან აარიდებს წყალდიდობით გამოწვეულ საშიშროებას. სამუშაოებს აწარმოებდა ი/მ „ამირან როსტომაშვილი“

სასადილო-ოთარაანთკარი

სექტემბრის შუა რიცხვებისათვის დამთავრდა სოფლებში სასადილოსა და ოთარაანთკარში, ე.წ. სასადილო-ოთარაანთკარის სასმელი წყლის სათავენაგებობის მოწყობა. სამუშაოებს აწარმოებდა ი/მ „ავთანდილ მარხვაშვილი“

სასადილო-ოთარაანთ კარში სამუშაოების მიმდინარეობისას

საგარეჯოელი ახალგაზრდები „პატრიოტთა ბანაკში“

როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მთავარმა სპეციალისტმა ნაზი არჩუაძემ გვითხრა, ჩვენი რაიონის ახალგაზრდები „პატრიოტთა ბანაკს“ სტუმრობენ შავიზღვისპირეთის ქალაქ ანაკლიაში:

– 10 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან 10 ახალგაზრდა გაიგზავნა ანაკლიაში არსებულ „პატრიოტთა ბანაკში“. ამ ბანაკს საერთაშორისო ბანაკების სტატუსი მიენიჭა და ამდენად აქ გარდა საქართველოს ახალგაზრდობისა, უკვე სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდებიც ისვენებენ. ამასთან დაკავშირებით შეიზღუდა კონტიგენტიც და შეიცვალა ახალგაზრდების შერჩევის კრიტერიუმებიც. წელს ჩვენი რაიონიდან ორ ნაკადად გაიგზავნებიან ახალგაზრდები. ამ ნაკადზე, რომელიც ბანაკისათვის მეათე იყო, საგარეჯოს საჯარო სკოლებიდან შეირჩა წარმატებული მოსწავლეები. ამასთან, მათ კარგად უნდა იცოდნენ ინგლისური ენა. რამდენადაც წელს ბანაკის მუშაობას შემეცნებითი დატვირთვა აქვს, ამ ნაკადზე ახალგაზრდებს მოუწევთ მუშაობა თემაზე „მითოლოგია“. მომავალ ნაკადზე, უკვე ბანაკისათვის მეთორმეტე ნაკადზე გასაგზავნი ახალგაზრდები (4 ოქტომბრიდან) იმუშავებენ თემაზე „ჩვენი საქართველო“. „პატრიოტთა ბანაკში“ ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნისა და სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდებს გაიცნობენ, დაუმეგობრდებიან, ერთად იმუშავებენ საინტერესო თემებზე, მოამზადებენ ღონისძიებებს და შემდგომშიც გააგრძელებენ მეგობრობას. მშობლიურ სკოლებში დაბრუნებულები კი თავიანთ თანაკლასელებსა და თანატოლებს გაუზიარებენ იქაურ შთაბეჭდილებებს და გააცნობენ სხვადასხვა თემებზე მუშაობის გამოცდილებებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის ფოტო

კიდევ ერთი საგარეჯოელი ფალავნის წარმატება

როგორც ცნობილია, ბელგიის ქალაქ ლომელში, ჩატარდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, სადაც საქართველოს ღირსებას სხვადასხვა ფალავნებთან ერთად იცავდა წარმოშობით საგარეჯოელი ძიუდოისტი ლევან მატიაშვილი. ჩვენმა მძიმე წონის ფალავანმა აღმავლობით დაიწყო ასპარეზობა. ვაზარით მოუგო შეხვედრები დანიელ და ლიტველ მეტოქეებს. ნახევარფინალში კი მან იპონით დაამარცხა რუსეთის წარმომადგენელი სტეფან სარქისიანი

ფინალში ლევანის მეტოქე ავსტრიელი დანიელ ალერს ტორფერი აღმოჩნდა, რომელთანაც გაფრთხილებებით დათმო, თუმცა ერთხელ მეტოქეც გააფრთხილებინა.

ისე, რომ საერთაშორისო არენაზე

„პრეზიდენტის თასის“ გამარჯვებულნი ძიუდო

17-18 სექტემბერს ზუგდიდში ჩატარდა „პრეზიდენტის თასის“ გათამაშება 1994-1995,1996-97წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის.

თასის გათამაშებაში 1994-95 წლიანთა ჯგუფში საგარეჯოს ნაკრებმაც (გუნდის უფროსი მამუკა მათიაშვილი) მიიღო მონაწილეობა. მათგან 55 კგ. წონით კატეგორიაში იმარჯვა და ჩემპიონის წოდება მანაველმა გიორგი კუპატაძემ იზეიმა. საინტერესოა, რომ მან ფინალში თანაგუნდელ კაკაბეთელ ძიუდოისტს კობა მჭედლიშვილს მოუგო.

50 კგ წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი კუპატაძის უმცროსმა ძმამ. ერაკლი კუ-

დავით ხუციშვილის „ბრინჯაო“ მსოფლიო პირველობიდან

ეს საპატიო ჯილდო ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ამასწინათ სტამბოლში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა, რითაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტიტული შემატა თავისი ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის სხვა ტიტულებს.

მსოფლიო პირველობაზე ასპარეზობა საგარეჯოელმა ფალავანმა წარმატებულად დაიწყო. ორ-ორ პერიოდში ზედიზედ დაამარცხა კამერუნელი რომეო ჯუმესი და ავსტრიელი ფილიპ გრეპაზი. პოლონელი ევროპის პრიზიორი კრისტიან ბროზოვსკის კი დამატებით დროში დამაჯერებლად სძლია.

მთავარი დაბრკოლება შეუქმნა და მსოფლიო ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა



და და ყაზახიც ზედ ეტანებოდა. თან საპრევმა პირველი პერიოდი 5:1 მიუგო, მაგრამ საგარეჯოელი ფალავანი არც მეტოქის უხეშობამ, არც ამხელა ჩამორჩენამ გატეხა, სამივე პერიოდი შეტაკებაში გაატარა და მიზანსაც მიაღწია, – ასე წერდა ამ წარმატების შესახებ გაზეთი „ლელო“.

ჩვენს სახელოვან ფალავანს ვულოცავთ ამ მორიგ წარმატებას, დაე, მალე მსოფლიოს ჩემპიონობაც მიგველოცოს მისთვის.

სპორტული მიმოხილვა გივი დაბახიშვილისა

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

გავიხსენოთ — ისინი ტერიტორიული მთლიანობისათვის დაეცნენ აფხაზეთში:

კახა გიქორაშვილი
ვაჟა ქიტიაშვილი
დავით ჩობალაური
მამუკა ხატისაშვილი
სოსო ჩოკოშვილი
მიხეილ ჭინჭარაული
ბადრი მჭედლიშვილი
ზურაბ ფეიქრიშვილი
ვახტანგ თედიაშვილი
დავით კვეზერელი
რამაზ ჭიკარტაძე
გელა შაქარაშვილი
ბაქარ სულხანიშვილი
გია კირაკოზაშვილი

სულთათანა

ვასიკო კოჭლამაზაშვილი

„ძნელია მოკვდეს ვაჟკაცი,
ზედ მიწა დაეყაროსა,
აატირონოს ცოლ-შვილი,
უდროოდ გაეყაროსა!“

არსებობს წუთი დუმილისა, სიჩუმისა და ეს წუთები უდროოდ წასული ვასიკო კოჭლამაზაშვილს ეკუთვნის.

ადამიანი ცხოვრების წესით წერს თავის ბიოგრაფიას. „ჩემი თავისთვის არაო.. – ეს სიტყვები ვასიკო კოჭლამაზაშვილის ცხოვრების დევიზი რომ იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

40 დღე სრულდება შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ შენ კვლავ შენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად რჩები. შენი სევდანარევი ღიმილი უშენობას მწარედ გვახსენებს. ძნელია დავივიწყოთ შენს მიერ გავლილი ალალ-მართალი გზა, რომელიც შენ გიძღვება ცათა სასუფეველში.

რა ხელი ჰქონდა შენთან მუხთალ სიკვდილს. ყველას გვტკივა შენი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე.

რით ვანუგეშოთ შენი მშობლები, შენი კენტად დარჩენილი ძმა, მისთვის ხომ სევდაა მთელი ცხოვრების თანამგზავრი?!

რა ვუთხრათ შენს საყვარელ ფიქრიას! როგორ დავამშვიდოთ შენი პატარა ბაჩო, დარწმუნებულები ვართ შენ ასე დაამშვიდებდი:

– ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!

ჩვენო დიდო სევდავ და ნაღველო, სიცოცხლეზე, ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო, როგორ გავუმკლავდეთ ამ ტკივილს. გვითხარი, როგორ ვისწავლოთ უშენოდ ცხოვრება. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება.

ყველგან გეძებთ, თუმცა ვიცით, რომ ვერ შეგხვდებით. გელოდებით ყოველდღე თუმცა, ვიცით, რომ არ მოხვალ. გვენატრება შენთან ერთად გატარებული ყოველი წუთი. გული გვტკივა, რომ ვერ ვაჯობეთ შენს ბედისწერას.

შენი სახით საამაყო ადამიანი დაკარგა არამარტო ოჯახმა, არამედ მთელმა სამეგობრომ, მთელმა სანათესაომ. შენ ჩვენს გულში სიკეთისა და კაცობის ნიშნად დარჩები.

ჩვენო ვასო, გვწამს, რომ უფალმა ცათა სასუფეველში რჩეულთა შორის მიგიჩინა სამუდამო სავანე.

ჩვენ კი შენს საფლავს არ მოვაკლებთ ყვავილებს და წმინდა სანთლებს, რათა უფრო გაბრწყინდეს სასუფეველში შენი სპეტაკი სული.

„ცეცხლის ცრემლით
საფლავს გავჭრი,
და ოცნებას შიგ ჩავმარხავ,
ავტირდები მაგრამ ჩემს ცრემლს
ვერასოდეს დაინახავ“/

ჩვენო ჩასვენებულო მზეო!
ჩვენო ჩამქრალო ცისკარო!
ჩვენო ადრე დაღამებულო დღეო!

მეუღლე, შვილი, მშობლები, ნათესავები.

ლექსო თულაშვილი



სიკვდილი ყველა შემთხვევაში მძიმე ჯვარია, ეგ სულ ერთია, გვეშველება ვინმე მის ზიდვაში თუ მარტო მიგვაქვს.

იმ სექტემბრის და იმ წლის დავიწყება არ შეიძლება. წუთისოფელი, რამაც ორად გაყო როინ და ლამარა თულაშვილების ოჯახი

მამის ერთადერთი ძე, შემკული ყველა იმ ღირსებით, რომელიც სიამაყეს იტევდა მის ჯიშსა და ჯილაგში, მის სამეზობლოში, მის საგარეჯოში, მაგრამ, შურს მაინც ვერ გამოიწვევდა ვერავის გულში და თვალში, რადგან ყველას უსაზღვროდ უყვარდა წიგნის გმირის თუ რომელიმე ფილმის გმირის მსგავსი – ჩანჩქერივით მაღალი და ლაღი, თვალმშვენიერი და გულკეთილი ლექსო თულაშვილი

სიკვდილმა 24 წლის ასაკში მოუსწრო. მეგობრების გვერდით მყოფმა მათი სიჭაბუკის, ანცობის ვალიც თვითონ იტვირთა, ყველას მაგიერ თვითონ ჩაბარდა ავადსახსენებელ სიკვდილს და დატოვა მარტოსული დედა – მასზე ოცნებით ნაადრევად დაბერებული, მამა – ცხოვრების ხერხემალ გადამტვრეული, კენტი ყვავილ სულივით შეფაკლულ და და ცოლ-შვილი, მასზე უზომოდ შეყვარებულად დარჩენილი, შვილი რომელმაც მამას მხოლოდ „აღუ“ აჩუქა და დღეს უკვე პირველად შეაღო სკოლის კარი. დატოვა ბებიები, თეთრი თმის სიმძიმით, ტკივილით, რომელსაც ამ ასაკის ხალხი სახელს ვერ უძებნის დატოვა უამრავი თავისი უბნელი გულში ლახვარჩაცემული, ნათესავი და მოკეთე მისი არარსებობით დამარცხებული...

წავიდა, წავიდა, მაგრამ აქ თავისი ლამაზი სიცოცხლით სიცოცხლის სიყვარული მაინც დატოვა.

ოჯახი

მერი ლეჟავა

შრომითი ბიოგრაფია ქალბატონმა მერი ლეჟავამ მეტყევეინჟინრის სპეციალობით დაიწყო, მუშაობდა მთავარ მეტყევედ, გაზეთ „ივრის განთიადის“ რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ასოციაცია „ლამპარის“ პრეზიდენტის მრჩევლად, ქალაქ საგარეჯოს საკრებულოს მდივნად, აპარატის ხელმძღვანელად. მეგობრები და ახლობლები, თანამოსაქმეები, იმ დროის საზოგადოებრიობა მას იცნობდა თავისი მოვალეობის საუკეთესო შემსრულებლად, ყურადღებიან, გულისხმიერ, ღირსეულ მამულიშვილად და დამსახურებულადაც აფასებდა მას. ამიტომ იყო, რომ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ქ-ნ მერის ხშირად აჯილდოებდნენ სამთავრობო ჯილდოებით, საპატიო სიგელებით, დიპლომებით. მისთვის კი ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული იყო, რომელსაც გრძნობდა თავისი სიცოცხლის მანძილზე. იყო საუკეთესო მეუღლე, დედა და დიასახლისი.

გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს კი ქ-ნი მერი „სულთა საუფლოში“ გადასახლდა – მშვიდად, წყნარად, ისე, რომ არავინ შეუწუხებია. მართლაც საოცარი იყო მისი ამ ქვეყნიდან გასვლა – ასე მშვიდად – ბობოქარი სულის პატრონისა, მუდამ საქართველოზე, გარეჯის მიწა-წყალზე მოფიქრალი, მუდამ საგარეჯოელების გასაჭირის გამზიარებელ – მომგვარებელი, საქვეყნო საქმეებზე ჩაფიქრებულ-დადარდიანებული. წავიდა ყველასთან ვალმოხდილი და ყველასგან დაფასებული. კიდევ ერთი ავტოგრაფი ჩაიწერა ჩვენი ხსოვნის ფურცელში, ვის მიმართაც ვალში ვართ „დროებით აქ, ამ ქვეყნის სტუმრები“ – არ დაგვავიწყდეს მოყვასი ჩვენი. დღევანდელი ამ გახსენებით გვინდა პატივი მივაგოთ მის ნათელ ხსოვნას, მას 22 სექტემბერს ხომ 78 წელი შეუსრულდებოდა.

საგარეჯოელები

გიორგი როსტიაშვილი



სულ ახლახანს საგარეჯოს საზოგადოებამ და ახლობლებმა ცხოვრების უკანასკნელ გზაზე გააცილეს ერთი ნაღდი საგარეჯოელი კაცი – გიორგი როსტიაშვილი, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ქვეყნის, უპირველესად ჩვენი რაიონის, საგარეჯოს დარგობრივი სოფლის მეურნეობისა და მექანიზაციის განვითარებას. ამ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმის განხორციელება მას ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან მოუხდა, როცა ქვეყანას გრიგალივით თავს დაატყდა ფაშისტური გერმანია. მიუხედავად ასაკისა, მან წარმატებით ჩააბარა გამოცდები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და მიიღო უმაღლესი განათლება. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ დარგის სხვადასხვა პასუხისმგებელ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იყო მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, რითაც თქვა თავისი განსაკუთრებული სიტყვა და მთელი თავისი შესაძლებლობები მოანდომა რაიონის წინსვლისა და განვითარების საქმეს. საუკეთესო სამეურნეო მუშაკი წარმატებული და ნაყოფიერი შრომისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და ქვეყნის სხვა უმაღლესი ჯილდოებით, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. იყო საუკეთესო მეგობარი, მეუღლე, მამა, პაპა, საგარეჯოს ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

წავიდა და დატოვა ნათელი კვალი მომავალი თაობებისათვის სამაგალითოდ. ბ-ნი გიორგი გაიხარჯა თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის, ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების სამსახურში, წავიდა ყველას წინაშე ვალმოხდილი და დაგვიტოვა სახელი, რომელიც დიდხანს გაჰყვება მის ახლობლებსა და მეგობრებს, მადლიერ საგარეჯოელებს.

მაშ ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა სამუდამო განსასვენებელში ბ-ნო გოგი, თქვენნაირი ადამიანები არ კვდებიან.

ოჯახი, მეგობრებისა და ახლობლების ჯგუფი

„რთველი 2011“ ბალაში შეკიდა

15 სექტემბერს რთველი დაიწყო ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლების: შიბლიანის, ბოგდანოვკის, კაკაბეთისა და ჩაილურის ზვრებში. ამ დღეს ბადიაურის ღვინის ქარხანამ მიიღო 50 ტონა 560 კგ ყურძენი.

ღვინის ქარხანაში მისულ ჩვენი მუნიციპალიტეტის მევენახეებს არაერთხელ დახვდნენ და წლევანდელი ყურძნის მოსალოდნელი მოსავლის შესახებ გაესაუბრნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ-ნი ბაკურ კვეზერელი, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში ბ-ნი გიორგი ღვინიაშვილი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გია ჩალათაშვილი.

საფერავი ყურძნის ფასი 1 კგ-ზე 40 თეთრია, რომელსაც ემატება 25 თეთრი – სახელმწიფო სუფსიდია.

27 სექტემბრისათვის ბადიაურის ღვინის ქარხანას მიღებული ჰქონდა 1690 ტონა საფერავის ჯიშის ყურძენი, ხოლო შპს „კახეთი-3000“-ს (ნინოწმინდის ღვინის ქარხანა) – 280 ტონა. სულ ამ დღისათვის ღვინის ქარხნებმა 1970 ტონა საფერავის ჯიშის ყურძენი მიიღო. სექტემბრის ბოლო, დარჩენილი დღეებისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ზვრებში კიდევ 400 ტონა ამავე ჯიშის ყურძენი მოიკრიფება, საიდანაც მოსახლეობა მხოლოდ 100 ტონა ყურძნის ქარხნებისათვის ჩაბარებას ვარაუდობს.

რთველი გრძელდება. მოსახლეობა მალე რქაწითელის ჯიშის ყურძნის მოკრეფას დაიწყებს, რომელსაც ზემოთხსენებული ქარხნები მიიღებენ.

რქაწითელის ფასი 1 კგ-ზე იქნება 30 თეთრი, რომელსაც 15 თეთრი სახელმწიფო სუბსიდია დაემატება.

სახელმწიფო სუბსიდია გახდა გარანტია იმისა, რომ გლეხი მიუბრუნდა ვაზს – საქართველოს გადამრჩენ კულტურას – საზამთროსა და კიტრის მოსაყვანად გაჩეხილ ნავენახარებში კვლავ ვაზის კულტურა გააშენა და მოვლა-პატრონობა არ დააკლო.

შედეგმაც არ დააყოვნა და წელს ათასობით ოჯახმა ყურძნის უხვი მოსავალი მოიწია. გაჩნდა იმედი, განმტკიცდა რწმენა, რომ გლეხს სახელმწიფო გვერდით უდგას ოჯახის ეკონომიური გაძლიერებისა და მევენახეობის განვითარებისათვის.

დიდ წინაპართა ღირსეული შთამომავალი

დასასრული

იჩნდა ერთ ზოლზე თეთრი თმაში. გეგმები შემეცვალა – უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე მინდოდა საქმიანობის გაგრძელება, მაგრამ...

ასე მოვხვდი ჩემს მშობლიურ სკოლაში მასწავლებლად. 22 წლის გოგო ჩემს ყოფილ პედაგოგებს თვალსაც ვერ ვუსწორებდი. მაგრამ გამომწვრთნეს, მასწავლეს, გამათამამეს და ერთ წელიწადში უკვე სიხარულით შევდიოდი კლასში გაკვეთილზე. ჩემს გვერდით იდგნენ ნუგზარ ჭანტურია, ეთერ ქურთიშვილი, ვმუშაობდი ციალა ნარიმანიშვილისა და ნელი ქაიხოსროშვილის გვერდით. ეს მაშინ ბევრს ნიშნავდა. ახლაც ისევ პირველ სკოლაში ვასწავლი ბავშვებს ისტორიას – მამის გზას გავყევი – ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია სკოლის გარეშე, ჩემი მოსწავლეებისა და კოლეგების გარეშე.

და როცა მე ჩავიჩოქე, ბევრი ადამიანი ამომიდგა მხარში: თამრიკო დალბაშვილი, მანანა გიუნაშვილი, პაატა ბუზარიაშვილის ოჯახი და რა თქმა უნდა, გია დუჩიძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა. ყველას ვერ ჩამოვთვლი და არც საჭიროა!

რა მიყვარს? – ყველაფერი, რაც სიკეთესთან არის დაკავშირებული.

მძულს მედროვეობა, შური, გაუტანლობა.

რას ვაფასებ? – ნიჭს, განათლებას, სხვისი ტკივილის გათავისების უნარს.

ბევრი კარგიც გამიკეთებია, ზოგჯერ შემშლია კიდეც, მაგრამ, ალბათ, ეს არის ცხოვრება.

მიყვარს პოეზია, კარგი ლექსი, წიგნის გარეშე ვერ ვძლებ. მეც ვაწუხებ კალამს. მაგრამ ჩემს შვილებს და დღის სინათლეს ვერ ვაჩვენებ.

მყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

სკოლაში ისტორიის სწავლებასთან ერთად, ღონისძიებებსაც ვატარებ. მყავს სახელმძღვანელოდ შესანიშნავი VI კლასი, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები ჩამაბარა დაწყებითების მასწავლებელმა ნაირა გურგენიშვილმა და მეც ვცდილობ, მათი უნარი განვავითარო. სკოლის ისტორიის მასწავლებლებმა ჩამოვაყალიბეთ ისტორიის მოყვარულ ბავშვთა საზოგადოება, გამოდის კედლის გაზეთი „აზმანი“ მომავალი პოეტები და უბრალო კარგი მკითხველები თავიანთ ნამუშევრებს აქვეყნებენ კედლის გაზეთში, რომელსაც ჰქვია „მე მაინც უნდა ავფრინდე“

დღეს ღირებულებები გადაფასდა. სულ სხვას მასწავლიდნენ, სხვაში აღმოვჩნდი. ვცდილობ, ჩემი დინებით ვიარო წუთისოფელში.

აკი მიდის კიდეც და თან მიჰყავს და მიუძღვის თავის მოსწავლეებს – ცოდნის, ჯადოსნური სამყაროს მწვერვალებისაკენ ქართველი კაცისათვის იმ უმთავრესი ადამიანური ღირებულებების საზიარებლად, რასაც ენა, მამული და სარწმუნოება ჰქვია

გივი დაბახიშვილი

შეგახსენოთ, თუ იცით?

– რა ასაკისაა ქართული ვაზი და ქართული ღვინო?

თიხის დერგივაზის მტევნების ფერადი სტილიზებული გამოსახულებით აღმოჩენილია შულავერში (ძვ. წელთაღრიცხვის VII-V ათასწლეულები), რომლის ნამტვრევებზე დადასტურდა ღვინის მეავას ნაშთის არსებობა. იქვე აღმოჩენილიაკულტურული ნიშნების მქონე ყურძნის წიპწები, რომლებიც ძვ. წ. აღრიცხვის V-IV ათასწლეულებით თარიღდება.

კახურმა ღვინომ პირველმა მოიპოვა საზღვარგარეთ აღიარება და საგანგებო ჯილდოც პარიზის 1900 წლის საერთაშორისო გამოფენაზე. კარგად იყო ცნობილი კახური ღვინოებიდან რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ღვინოები.

1821 წელს თბილისში ლიქიორის და არყის, მაგარი სასმელების ქარხანა გახსნა ბარბალე იმერლიშვილმა. ასევე, ალკოჰოლური სასმელების ძლიერი სკოლა იყო ქუთაისში: გიორგი ბოლქვაძე, კაცია ადანაია, ტარიელ გაბუნია, ფელიქს ჭელიძე, რომლებიც ხილზე და კენკრაზე აყენებდნენ არაყს და ლიქიორს. საქართველოში კარგ ღვინოებს ამზადებდნენ ჭავჭავაძეები, ჯორჯაძეები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები, ჯანდიერები, ვახვახიშვილები, მუხრან ბატონი, ყველა რაიონში მზადდებოდა ჭანჭურის, ქლიავის, ანწლის, თაფლის, ატმის, ასკილის, ტარხუნის, მოცხარის, მოცვის, ღოღნოშოს, სასმელები. ჟიპიტაური, ჭაჭა, საია, რახი, აბეკამაქი, თაფლუჭი -ქართული სასმელებია. ჩვენი ჭაჭის ანალოგია იტალიაში – „გრაპა“, საფრანგეთში – „მარკი“, ესპანეთში – „ორუხო“, პორტუგალიაში – „ბაგაჩეირა“.

– რამდენი ვაზის ჯიშია საქართველოში?

ქართული ვაზის ამპელოგრაფიაში 525 ვაზის ჯიშია აღწერილი. საუკუნე-ნახევრის წინ კახეთში უპირატესად 5 საუკეთესო საღვინე ვაზის ჯიში იყო ცნობილი:

რქაწითელი
საფერავი
კახური მწვანე
ხიხვი
კახური მცვივანი

სამწუხაროდ, ხიხვის ჯიშის ვაზი თითქმის გამქრალია, ერთეულ ძირებსდა ითვლის კარდენახსა და რუისპირში. კახური მცვივანის ნარგაობა კი აღარ გაგვაჩნია.

ვარაუდობენ, რომ უნიკალური ვაზის ჯიშის საფერავი ტაო-კლარჯეთში წარმოიშვა, თუმცა, დღეს მის სამშობლოდ კახეთი მიგვაჩნია.კახეთში დაფიქსირებულია 66 ჯიშის ვაზი. აქედან 17 შავი ჯიშისაა, 36 თეთრი, 13-ის ფერი ცნობილი არ არის. განსაკუთრებით გავრცელებული იყო: რქაწითელი, თითა, თავკვერი, საფერავი, შავი ბუდეშური, ხიხვი, კუმსი, ხარისთვალა, მწვანე, გავაზური, შირაზული.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

მომავალ ნომერში წაიკითხავთ:

1. „რთველი – 2011“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.
2. გერმანიის საზღვაო მენეჯმენტის გემის კაპიტან-გამომცდელი პატარძეულელია.